



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის
აქტი

№ 23/00

„ 27 „ ივნისი 2011

ქ. თბილისი

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ალასანია

„ 27 „ ივნისი 2011 წელი

ვგზ. N2

ფინანსური აუდიტის აქტი

(01.01.10–01.01.11)

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ
პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში 2010 წლის ბიუჯეტის
შესრულების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შესახებ

სარჩევი

შესავალი, საქმიანობის მოკლე მიმოხილვა	გვ-3
აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ-4
ძირითადი ტექსტი	გვ-5
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა	გვ-5
1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა	გვ-5
1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით	გვ-5
1.3 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა	გვ-9
1.4 გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა	გვ-10
1.5 ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის კანონიერება	გვ-10
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)	გვ-11
აუდიტის ობიექტისათვის მიცემული რეკომენდაციები	გვ-13
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ-13

შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 1 მარტის N22/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, 0177, მ.თამარაშვილის ქუჩა N15ა. ტელ/(995 32) 311585 ფაქსი /(995 32) 31 15 96

აუდიტის ჯგუფი - აუდიტორი ანტონ პარუნაშვილი.

აუდიტის ვადა - 02/03/2011 – 22/03/2011 (დაწყება-დამთავრება).

შემოკლებანი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო - სამინისტრო;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა განსახლების მინისტრი - მინისტრი;

საქართველოს პარლამენტი - პარლამენტი;

საქართველოს მთავრობა - მთავრობა;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;

საქართველოს ფინანსთა მინისტრი - ფინანსთა მინისტრი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური - ხაზინა;

საქართველოს კონტროლის პალატა - კონტროლის პალატა;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ;

დამატებითი ღირებულების გადასახადი - დღგ.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს მთავრობის დადგენილებით¹ დამტკიცებული დებულების საფუძველზე². მას აქვს ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, დასრულებული ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა და სათანადო ანგარიშები სახელმწიფო ხაზინაში.

აუდიტის პერიოდში სამინისტროს სისტემაში შედიოდა 4 (ოთხი) ტერიტორიული ორგანო და 1 (ერთი) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა თემის განვითარების ცენტრი“.

სამინისტროს ფუნქციები და ამოცანები:

საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბება და ამ სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთშეთანხმებული საქმიანობა; ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და

¹ N34 დადგენილება (22.02.2008)

² შეტანილია ცვლილებები N224 (19.11.2008), N140 (31.07.2009) და N18 (27.01.2010) დადგენილებებით

დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით ლტოლვილთა, თავშესაფრის მამიებელთა, დევნილთა, რეპატრიანტთა, საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვ.) გამოწვეული მიგრაციული ნაკადის რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის პირობების შექმნა და სოციალური დაცვა; მიგრანტთა კატეგორიების დადგენა; ლტოლვილთა, დევნილთა და დროებით ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების ორგანიზება და ხელშეწყობა, სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა; მიგრაციული ნაკადის აღრიცხვა, მართვა და კონტროლი; დროებით ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა თავისი კომპეტენციის ფარგლებში; საერთაშორისო (სამთავრობო და არასამთავრობო) ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ა.შ.

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

- სსიპ "თემის განვითარების ცენტრის" მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა განვითარების პროექტის (WB) ფარგლებში გამოყოფილი გრანტიდან (957,2 ათასი ლარი) აუთვისებული დარჩა 650,4 ათასი ლარი, ანუ მთლიანი ასიგნების 67,9 %;.....გვ.10.
- სამინისტრომ, 2009 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების დეფიციტის მოტივით კრედიტორულ დავალიანებად თავისდროულად ვერ აღიარა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება GTZ-ს მიერ საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის 300 ქვის სახლის მშენებლობაზე გადახდილი გადასახადების (დღგ) თანხა - 414,2 ათასი ლარი, რომლის გადახდა ვალდებულებების კლების მუხლიდან განხორციელდა 2010 წელს, ამავდროულად თანხით მოხდა არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების გაზრდა, რამაც გამოიწვია შეუსაბამობა, ერთი მხრივ, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეულ საკასო ხარჯსა და არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების ცვლილებასთან, ხოლო მეორეს მხრივ ვალდებულებების კლების მუხლით გაწეულ საკასო ხარჯსა და კრედიტორული დავალიანების ცვლილების საბალანსო მონაცემებთან. ამათან დღემდე გაურკვეველია და დავის საგანს წარმოადგენს GTZ-ს მიერ 2008-2010 წლებში ბიუჯეტში გადახდილი 58,8 ათასი ლარის უკან დაბრუნების საკითხი.....გვ-11
- სამინისტროს ბალანსზე ერიცხება 142,8 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, საიდანაც 90,7 ათასი ლარი წარმოშობილია 2005-2007 წლებში. ამასთან აღნიშნულ დავალიანებების სალიკვიდაციოდ არასაკმარისი ღონისძიებებია გატარებული, რასაც ადასტურებს ისიც, რომ 2010 წელს დავალიანების მქონე ორგანიზაციებთან არაა ჩატარებული მოთხოვნების ინვენტარიზაცია.....გვ-12
- სამინისტროს ბალანსზე ერიცხება 4 634,8 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება, საიდანაც 3 921,7 ათასი ლარის დავალიანება არ იშიფრება წლებისა და ორგანიზაციების მიხედვით.....გვ-12

ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნება განისაზღვრა 27857,1 ათასი ლარის ოდენობით. კანონში შეტანილი 2 ცვლილებით ასიგნება ჯერ გაიზარდა 40357,1 ათას ლარამდე³, ხოლო შემდეგ შემცირდა 39632,7 ათას ლარამდე⁴. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 42 561,6 ათასი ლარი.

სამინისტრო	საბიუჯეტო განაცხადი	ათასი ლარი	
		დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი
ხარჯები	27 307,1	38 779,4	41 292,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	50,0	353,3	769,1
ვალდებულებების კლება	500,0	500,0	500,0
სულ	27 857,1	39 632,7	42 561,6

წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობების მიხედვით ასიგნებაში კვარტლებს, მუხლებსა და კოდებს შორის განხორციელებულია 19 ცვლილება (გადანაწილება). გადანაწილებებზე მოთხოვნებს თან ერთვის სათანადო წერილობითი არგუმენტაციები. კვარტალურ გადანაწილებას ადგილი ჰქონდა 2 შემთხვევაში, თანხით 104,6 ათასი ლარი, ხოლო კოდებსა და მუხლებს შორის 17 შემთხვევაში, თანხით 5 193,4 ათასი ლარი და შეადგინა დამტკიცებული ასიგნების 13,1%-ია. აქედან ბიუჯეტის კანონში არ ასახულა 325,9 ათასი ლარის ცვლილება (დამტკიცებული ბიუჯეტის 0,8 %), რაც შესაბამისობაშია კანონით დადგენილ ფარგლებთან⁵, აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ცვლილებების 91,9% (4 772,7 ათასი ლარი) განხორციელებულია მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე.

1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით

³ N3109რს კანონი (18.06.2010)

⁴ N3831რს კანონი (19.11.2010)

⁵ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“

სამინისტროს საბიუჯეტო განაცხადი ეფუძნება სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების გაანგარიშებებსა და პრიორიტეტების მიხედვით მოთხოვნილი თანხების დასაბუთებებს.

სამინისტროს პრიორიტეტები საანგარიშო პერიოდში:

პრიორიტეტი I	პირობების შექმნა დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის
პროგრამა	"ჩემი სახლი"
პრიორიტეტი II	დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
პრიორიტეტი III	მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება
პროგრამა	"ხიდი"
პრიორიტეტი IV	1999 წელს ევროპის საბჭოს წევნაზე მუსლიმანი მესხების რეპატრაციის შესახებ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება
პროგრამა	"რეპატრაცია"

2010 წლის საბიუჯეტო პარამეტრები, გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯები:
ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი
სამინისტრო	42 561,6	41 891,6	41 670,6	41 670,6	40 944,6
ხარჯები	41 292,5	40 675,7	40 462,0	40 462,0	40 944,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	769,1	715,9	715,9	715,9	
ვალდებულებების კლება	500,0	500,0	492,7	492,7	

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის არსებული 482,5 ათასი ლარის ოდენობის სხვაობა გამოწვეულია ძირითადი კაპიტალის მოხმარების (387,9 ათასი ლარი), დებიტორების და მატერიალური მარაგების ფაქტობრივ ხარჯში ასახვით.

საბიუჯეტო პარამეტრები, გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯები ორგანიზაციული კოდების მიხედვით:

ათასი ლარი					
ორგანიზაციული კოდი	გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი
34 01	4 889,9	4 869,1	4 857,9	4 857,9	5 572,5
34 02	412,6	409,6	409,5	409,5	430,7
34 04	25 978,5	25 930,3	25 818,5	25 818,5	22 935,5
34 05	357,8	356,3	356,3	356,3	1 054,4
34 06	8 721,6	8 708,3	8 698,3	8 698,3	18 705,5
34 07	375,0	369,3	363,5	363,5	204,3
34 09	171,0	171,0	171,0	171,0	166,7
34 12	40,0	39,9	39,9	39,9	305,7
34 13	27,8	27,8	25,8	25,8	
34 14	1 587,5	1 009,9	929,8	929,8	

საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული ბუჯეტი დამტკიცებულ ბიუჯეტს აღემატება 2 928,9 ათასი ლარით, რაც მთლიანად მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებია.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით მდგომარეობა:

ხარჯები :

საანგარიშო პერიოდში ხარჯებმა სულ შეადგინა 40 462,0 ათასი ლარი, რაც დაზუსტებულ ბიუჯეტზე (41 292,5 ათასი ლარი) 830,5 ათასი ლარით ნაკლებია და მის 98%-ს შეადგენს.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯვის მდგომარეობა:

შრომის ანაზღაურება;

შრომის ანაზღაურება	გეგმა	ვალდებულება	გადახდა	ათასი ლარი	
				ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა
თანამდებობრივი სარგო	2 325,8	1 671,3	1 670,4	1670,4	0
პრემია		653,7	653,7	654,3	0,6
სულ	2 325,8	2 325,0	2 324,1	2 324,7	0,6

ფაქტობრივად გაწეული 2 325,0 ათასი ლარის ხარჯიდან, თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 670,4 ათას ლარს, პრემია - 653,1 ათას ლარს. გადახდასა და ფაქტობრივ ხარჯს შორის სხვაობა 0,6 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს ზედმეტად გადახდილ და დასაბრუნებელ პრემიის თანხას (დებიტორული დავალიანება).

საქონელი და მომსახურება:

საქონელი და მომსახურება	გეგმა	ვალდებულება	გადახდა	ათასი ლარი	
				ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (5-4)
1	2	3	4	5	6
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	26 901,4	1495,2	1 487,5	1487,5	0
მივლინებები		100,9	100,1	99,8	-0,3
ოფისის ხარჯები		22 982,1	22 904,3	22 930,7	26,4
წარმომადგენლობითი ხარჯები		34,5	34,5	34,5	0
კვების ხარჯები		0,3	0,3	0,3	0
სამედიცინო ხარჯები		51,8	51,8	51,8	0
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები		2,0	2,0	2,0	0
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა დამოვლა-შენახვის ხარჯები		956,7	955,7	1022,5	66,8
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		1228,3	1 220,2	1250,0	29,8
სულ	26 901,4	26 851,5	26 756,4	26 879,1	112,7

საქონელი და მომსახურების მუხლით დაზუსტებული გეგმა 26 901,4 ათას ლარია, აღებულია ვალდებულება 26 851,5 ათას ლარზე (რესურსი 49,5 ათასი ლარი), გადახდა განხორციელდა 26756,4 ათასი ლარის ოდენობით, რაც დაზუსტებულ გეგმაზე 145,0 ათასი ლარით ნაკლებია და მის 99,5 %-ს შეადგენს. გაწეულია 26 879,1 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯი, რაც გადახდას აღემატება 457,8 ათასი ლარით (100,5 %).

როგორც ცხრილიდან ჩანს საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 85,3 % (22 930,7 ათასი ლარი) მოდის ოფისის ხარჯზე, რაც ძირითადად ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე ლტოლვილთა და დევნილთა შენახვის (ორგანიზაციული კოდი 34 04) ოფისის (ელექტრო ენერგიის -17 172,9 ათასი ლარი, წყლის -1 849,0 ათასი ლარი, ბუნებრივი და თხევადი აირის- 2 712,2 ათასი ლარი, კანალიზაციის და

ასინილიზაციის- 427,8 ათასი ლარი, დასუფთავების-47,1 ათასი ლარი, სულ-22 209,0 ათასი ლარი) ხარჯებია.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება, სოციალური უზრუნველყოფა, სუბსიდიები და სხვა ხარჯები:

ხარჯების დასახელება	გეგმა	ვალდებულება	გადახდა	ათასი ლარი	
				ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (5-4)
1	2	3	4	5	6
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	0	0	0	387,9	387,9
სუბსიდიები	848,5	316,3	243,5	241,6	-1871,5
სოციალური უზრუნველყოფა	5 623,1	5 619,6	5 614,3	5 614,3	0
სხვა ხარჯები	5 593,7	5 562,9	5 523,5	5 497,9	-25,6
სულ	12 065,3	11 498,8	11 381,3	11 741,7	-1 509,2
სულ ხარჯები	41 292,5	40 675,7	40 462,0	40944,6	482,5

სუბსიდიების მუხლით გაწეული ხარჯები მთლიანად მოდის იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტ -WB-ზე (ორგანიზაციული კოდი 310402)

სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული საკასო ხარჯებიდან (გადახდა 5 614,3 ათასი ლარი), 5 344,8 ათასი ლარი (95,2 %) მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული ხარჯებია (ორგანიზაციული კოდი 34 06), რაც მთლიანად დევნილებზე საცხოვრებელი სახლების სანაცვლოდ გადახდილი საკომპენსაციო თანხაა; 235,9 ათასი ლარი (4,2 %) დევნილთა დახმარების ფონდიდან (ორგანიზაციული კოდი 34 05 02) დევნილებზე გაცემული ერთჯერადი დახმარებაა; 33,9 ათასი ლარი (0,6 %) კი სამინისტროს აპარატიდან გაწეული სოციალური დახმარების თანხაა.

საკომპენსაციო თანხები გამოიყოფა მთავრობის შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე. მუნიციპალიტეტები სამინისტროში წარადგენენ კომპენსაციებს დაქვემდებარებული ოჯახების ნუსხას, რომელიც დასაზუსტებლად ეგზავნება სამოქალაქო რეესტრს. ამის შემდეგ, ოჯახის წევრთა ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობის შემთხვევაში, ოჯახზე გაიცემა თანხა 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტის ოდენობით ეროვნულ ვალუტაში.

დევნილთა დახმარების ფონდიდან ერთჯერადი დახმარებები გაიცემა სამინისტროში შემოსული განცხადებების კომისიის განხილვის შემდეგ შესაბამისი დასკვნის საფუძველზე. 2010 წელს სულ შემოსულია 3699 განცხადება, რომელთაგან დაკმაყოფილებულია მხოლოდ 789 განცხადება (21,3 %). განცხადებების დაუკმაყოფილებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს დაფინანსების უკმარისობა.

სხვა ხარჯების მუხლით გაწეული საკასო ხარჯებიდან (გადახდა 5 523,5 ათასი ლარი) 2 766,0 ათასი ლარი (50 %) ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე ლტოლვილთა და დევნილთა შერნახვის ხარჯებია (მ.შ. 2 006,4 ათასი ლარი სარემონტო სამუშაოების, 600,0 ათასი ლარი დევნილთა საწვავი შეშით მომარაგების, 57,5 ათასი ლარი მუნიციპალიტეტებზე გადარიცხული კომუნალური მოსაკრებლების და 102,1 ათასი ლარი სხვადასხვა ხარჯებია); 2 544,5 ათასი ლარი (46,0 %) მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული ხარჯია (მ.შ. მთავრობის განკარგულებით სტატუსის გარეშე დევნილთა ელ.ენერგიაზე -2 131,9 ათასი

ლარი, ბუნებრივ აირზე -151,6 ათასი ლარი, წყალზე -68,4 ათასი ლარი და სარემონტო სამუშაოებზე -192,6 ათასი ლარი გაწეული ხარჯებია); 132,0 ათასი ლარი (2,4 %) თემის განვითარების პროექტის ხარჯებია (მ.შ. 101,3 ათასი ლარი სარემონტო სამუშაოებზე); 82,0 ათასი ლარი (1.5 %) სამინისტროს მიერ გაწეული ხარჯებია (მ.შ. 57,3 ათასი ლარი სარემონტო სამუშაოებზე).

არაფინანსური აქტივების ზრდა:

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაზუსტებული ასიგნება შეადგენდა 769,1 ათას ლარს, გადახდამ კი 715,9 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმაზე 53,2 ათასი ლარით ნაკლებია და მის 93,1 %-ს შეადგენს.

ვალდებულებების კლება:

ვალდებულებების კლების მუხლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 500,0 ათას ლარს, ხოლო გადახდამ შეადგინა 492,7 ათასი ლარი (98,5 %).

1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

ათასი ლარი								
№	განკარგულებ ის № და თარიღი	ორგანიზა ციული კოდი	მუხლი	თანხის გამოყოფის მიზანი	გამოყო ფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახ რა	შენიშვნა
1	№13 12.01.10	34 06	სხვა ხარჯები	2009 წლის ოქტომბერ- ნოემბრის ბუნებრივი აირის ხარჯი	165,0	133,4	31,6	თანხა დაბრუნდა ბიუჯეტში
2	№166 19. 02.10 №265 02.03.10	34 14 03	სხვა ხარჯები	საცხოვრ. სახლების მშენებლობა	101,3	101,3	0	
		34 14 04	სხვა ხარჯები	საცხოვრ. სახლების კეთილმოწყობა	29,0	29,0	0	
3	№1285 12.10.10	34 04	საქონელი და მომსახურება	ბუნებრივი აირის	1 565,2	1 565,2	0	
			სხვა ხარჯები	საწვავი შემა	600,0	600	0	
		34 06	სხვა ხარჯები	ელ.ენერგია და ბუნებრივი აირი	267,0	267,0	0	
			არაფინანსურ ი აქტივები	დევენილთათვის სახლების შეძენა	233,0	233,0	0	
სულ ჯამი					2960,5	2928,9	31,6	

სამინისტროს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაზუსტებების შემდეგ გამოეყო 2 960,5 ათასი ლარი, საიდანაც ათვისებულია 2 928,6 ათასი ლარი. სხვაობა - 31,6 ათასი ლარი დაბრუნებულია ბიუჯეტში.

1.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში სამინისტროსათვის გამოყოფილი გრანტების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2 211,6 ათას ლარს, რაზედაც გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულებები. ფაქტობრივად ათვისებულია 1555,6 ათასი ლარი, რაც

დაზუსტებულ გეგმაზე 656,0 ათასი ლარით ნაკლებია და მის 73,3 %-ს შეადგენს. აუთვისებლობა მოდის შემდეგ საგრანტო პროექტებზე:

1. "ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისას"- მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გამოყოფილი 871,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 865,5 ათასი ლარი, ანუ 5,5 ათასი ლარით ნაკლები (99,4 %);

2. იძულებით გადაადგილებულ პირთა განვითარების პროექტის (WB) ფარგლებში გამოყოფილი თანხა შეადგენდა 957,2 ათას ლარს. ფაქტობრივად ათვისებულია მხოლოდ 306,8 ათასი ლარი, ანუ 650,4 ათასი ლარით ნაკლები (32,1 %).

პროექტის განმახორციელებელია სსიპ "თემის განვითარების ცენტრი". პროექტი ითვალისწინებს დევნილთა თემის განვითარება - გაძლიერებას სათემო მიკრო-პროექტების შექმნისა და განხორციელების გზით. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ამ მიზნით საბოლოოდ შეირჩა 21 პროექტი, თუმცა პროექტების მომზადების, დევნილთა თემის განვითარების ცენტრში მათი წარდგენის, შერჩევის კომიტეტზე დასამტკიცებლად გატანის ხანგრძლივი პროცედურების და მსოფლიო ბანკისაგან ძირითადი საშუალებების ერთ პირთან მოლაპარაკების შესყიდვის პროცედურებზე თანხმობის მიუღებლობის გამო კომპონენტით გათვალისწინებული ღონისძიებები ვერ განხორციელდა.

გრანტებთან დაკავშირებით წარმოდგენილია სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი მიმოწერა, რაც იძლევა საკმარის მტკიცებულებას, რომ გრანტის აღრიცხვა-გამოყენებისას შესრულებულია „სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვისა და ხარჯვის წესით“ დადგენილი მოთხოვნები.⁶

1.5. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის კანონიერება

სამინისტროში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება იწარმოება კომპიუტერული პროგრამის („ორის-მენეჯერი“) მეშვეობით.

სამინისტროს კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშგებები (ბალანსები) ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი აქვს ვადების დაცვით საბიუჯეტო ორგანიზაციათა ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესაბამისად.

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)

ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ:

ათასი ლარი

⁶ ფინანსთა მინისტრის N66 ბრძანება (05.02.2009)

N	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 01.01.10-ის მდგომარეობით	მიღება					გასვლა			ნაშთი 01.01.11-ის მდგომარეობით
			შესყიდვით	იმავლე დონის სახელმწიფოერ თუელიდან	გრანტით	ნებაყოფ. ტრანსფ.	სხვა ეკონომიკ. ნაკად.	იმავლე დონის სახელმწიფოერ თუელიდან	სხვა ეკონომიკ. ნაკადებით	პირითადი კაპიტალის მოხმარება	
1	შენიშვნა- ნაგებობები	23 427,9	719,3	44,0						182,7	24 008,6
2	სატრანსპორტო საშუალებები	373,3	224,8	4,4		70,0	44,4	4,4	161,8	31,4	516,2
3	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	635,8	185,4	59,6	24,3			11,6		164,7	728,8
4	არამატერიალური ძირითადი აქტივები	89,6	0,7							9,1	81,2
	სულ ჯამი	24 526,6	1 130,2	108,0	24,3	70,0	44,4	16,0	161,8	387,9	25 334,8

ხაზინის მონაცემების მიხედვით არაფინანსური აქტივების მუხლით გადახდა განხორციელებულია 715,8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშის (ბალანსის დანართი - ფორმა №5) მიხედვით შესყიდულია 1 130,2 ათასი ლარის ოდენობით, რაც გადახდას აღემატება 414,3 ათასი ლარით. აღნიშნული შეუსაბამობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებით:

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკასა და საქართველოს მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ 1998 წლის 11 მაისისა და 2008 წლის 18 დეკემბრის შეთანხმების (№Poi 320. 10/8 SB 3) საფუძველზე, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება - GTZ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დავალებით, 2009 წელს ახორციელებდა საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის დაახლოებით 300 ქვის სახლის მშენებლობას. პროექტის პარტნიორს საქართველოდან წარმოადგენდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. GTZ-ს მიერ 2010 წლის 9 მარტს სამინისტროში წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ამ პერიოდისათვის, მთლიანი ხარჯები შეადგეს 14 915,1 ათას ლარს, საიდანაც ბიუჯეტში გადასახადების სახით GTZ-ს მიერ გადახდილია 2 684,7 ათასი ლარი.

საგრანტო ხელშეკრულების თანახმად, მშენებლობისათვის გაწეული ხარჯებიდან გადახდილი გადასახადებისა და მოსაკრებლების თანხა ექვემდებარება GTZ-სათვის უკან დარუნებას, როგორც თანადაფინანსების თანხა. 2010 წლის 1 იანვრამდე უკან დაბრუნებული იყო 1 971,6 ათასი ლარი, 78,4 ათასი ლარი კი აღიარებული იყო კრედიტორულ დავალიანებად. GTZ-ს მოთხოვნა შეეხებოდა 551,5 ათას ლარს. 2009 წელს დარჩენილი თანხის აღიარებლობის მოტივად სამინისტროს მხრიდან სახელდება 414,2 ათას ლარზე ასიგნებების უკმარისობა (2009 წლის ბიუჯეტით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში გრანტი გათვალისწინებული

იყო 15 300,0 ათასი ლარის ოდენობით, თანადაფინანსება დღგ-ს სახით კი 2 050,0 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად 2 754,0 ათასი ლარისა), ხოლო 58,8 ათას ლარზე კი პარლამენტის მიერ 2008 წლის 30 დეკემბერს სათანადო დოკუმენტების რატიფიცირებამდე ხარჯების გაწევა (დ.ღ.გ.-ს თანხა 17,2 ათასი ლარი) და ნაწილი ხარჯის (დ.ღ.გ.-ს თანხა 46,6 ათასი ლარი) რატიფიცირებულ დოკუმენტებთან შეუსაბამობა.

საკითხის გადაწყვეტისა და მთავრობასთან შუამდგომლობის მიზნით სამინისტრომ წერილობით მიმართა ფინანსთა სამინისტროს. საპასუხო წერილით კი ფინანსთა სამინისტრო თავად სამინისტროს სთხოვს საკითხის სწრაფად დარეგულირებას. სამინისტრომ თავის მხრივ მთავრობის 2010 წლის 13 ოქტომბრის №1301 განკარგულების საფუძველზე ვალდებულების კლების მუხლით მისთვის გამოყოფილი 500,0 ათასი ლარიდან GTZ-ს გადაურიცხა 414,2 ათასი ლარი, რომელიც არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის საკასო ხარჯებში არ აისახა, თუმცა გაიზარდა ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულება, რამაც წარმოშვა ზემოხსენებული შეუსაბამობა. ასევე შეუსაბამობაშია ვალდებულებების კლების მუხლით გადახდა და კრედიტორული დავალიანების ცვლილების საბალანსო მონაცემებიც. რაც შეეხება სხვაობას (58,8 ათასი ლარი), საკითხი დღემდე არაა გადაწყვეტილი.

დებიტორული დავალიანებები:

სამინისტროს ბალანსზე 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა 241,7 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რაც საანგარიშო პერიოდში შემცირებულია 98,9 ათასი ლარით და 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 142,8 ათას ლარს, საიდანაც 90,7 ათასი ლარი (63,5 %) წარმოშობილია 2005-2007 წლებში, რომელთა მიმართ 2010 წელს არაა ჩატარებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების ინვენტარიზაცია.⁷ 42,1 ათასი ლარის (36,5 %) დავალიანება წარმოშობილია 2010 წელს, რაც ძირითადად წლის ბოლოს განხორციელებული წინასწარი გადახდებითაა გამოწვეული.

კრედიტორული დავალიანებები:

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ერიცხებოდა 4 961,9 ათასი ლარის, ხოლო 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კი 4 634,8 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება. დავალიანება შემცირებულია 327,1 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია ვალდებულების კლების მუხლიდან GTZ-სათვის 78,4 ათასი ლარის გადახდით, შპს "შირნჰოფერის" წერილის საფუძველზე 248,3 ათასი ლარის ჩამოწერით და 0.4 ათასი ლარის დახმარების სალაროს ნაშთიდან გაცემით.

⁷ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება (№70 06.02 1998 წ. მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი)

კრედიტორულ დავალიანებაში აღირიცხება 3 921,7 ათასი ლარის წლების და ორგანიზაციების მიხედვით გაუშიფრავი კრედიტორული დავალიანება, რაც მთლიანი დავალიანების 84,6 %-ია.

რეკომენდაციები

სამინისტრომ:

- გაატაროს ქმედითი ღონისძიებები გრანტებით გამოყოფილი თანხების დროულად და სრულად ათვისებისათვის, რაც ხელს შეუწყობს დევნილთა და ლტოლვილთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას;
- ფინანსთა სამინისტროსთან კონსულტაციების გზით დროულად გადაწყვიტოს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება - GTZ-სთან არსებული სადავო საკითხი, რათა საფრთხე არ შეექმნას ანალოგიური პროექტების სამომავლო დაფინანსებებს;
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყოველი წლის ბოლოს აწარმოოს ვალდებულებებისა და მოთხოვნების ინვენტარიზაცია, გაატაროს საჭირო ღონისძიებები დავალიანებების სალიკვიდაციოდ (განსაკუთრებით ეხება ხანდაზმულ დებიტორულ დავალიანებებს), ხოლო გაუშიფრავი კრედიტორული დავალიანებები გადაიტანოს ბალანსის საცნობარო მუხლში.


აუდიტის აქტის გასაჩივრების წესი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ობიექტი უფლებამოსილია აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ.თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი №96.

აუდიტორის ხელმოწერა

საქართველოს კონტროლის პალატის
აუდიტორი (ჯგუფის ხელმძღვანელი)

ანტონ პარუნაშვილი

 27.06.2014

ხელმოწერა თარიღი